

გაბრიელ გარსია მარკესი

სიყვარული ჟამიანობის დროს

რომანი

ესპანურიდან თარგმნა
თეა გვასალიამ



გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

გაბრიელ გარსია მარკესი
სიყვარული ჭამიანობის დროს

Gabriel García Márquez
EL AMOR EN LOS TIEMPOS DEL CÓLERA

რედაქტორები სოფო კობიაშვილი
ირმა ჩინჩალაძე

ISBN 978-9941-454-56-1

© GABRIEL GARCÍA MÁRQUEZ, 1985

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2014

გარდაუვალი იყო: მწარე ნუშის სუნი ყოველთვის წინააღმდეგობრივ სიყვარულთა ბედს აგონებდა. ექიმმა ხუვენალ ურბინომ ეს სუნი ჯერ კიდევ გათენებამდე, სახლში შესვლისთანავე იგრძნო, სადაც სასწრაფო გამოძახებაზე მივიდა. თუმცა, მსგავსი შემთხვევები მისთვის კარგა ხანია აღარ იყო სასწრაფო. ანტილიელ ლტოლვილს ხერემია და სენტ ამურს, ომის ინვალიდს, ზავშვთა ფოტოგრაფსა და ჭადრაკში მის ყველაზე თანამგრძნობ მონინააღმდეგეს, მოგონებათა ქარიშხლიდან ოქროს ციანიდის დაბოლებით ეხსნა თავი.

საბანაფარებული გვამი საველე, დასაკეც საწოლზე ესვენა, სადაც სიცოცხლეში ეძინა ხოლმე. მის გვერდით, დაბალ სკამზე პატარა აბაზანა იდგა, საიდანაც სანამლავი აორთქლდა. იატაკზე საწოლის ფეხზე მიბმული დიდი დანიელის გათეთრებულმკერდიანი სხეული და ყავარჯნები ეყარა. დახუთული და აჭრელებული ოთახი, ერთდროულად საწოლიც რომ იყო და ლაბორატორიაც, ნელ-ნელა ნათდებოდა ღია ფანჯრიდან შემოსული განთიადის პირველი სხივებით. ამ მკრთალ სინათლეშიც იგრძნობოდა სიკვდილის ძალა. ოთახის დანარჩენი ფანჯრები და ღრიჭოები ნაჭრით ან შავი მუყაოს ნაგლეჯებით იყო ჩაგმანული, რაც მის დამთრგუნველ სივინროვეს ამძაფრებდა. ოთახში უეტიკეტო ბოთლებითა და ფლაკონებით სავსე მაგიდა და თუჯის ორი აბაზანა იდგა წითელქაღალდაფარებული ჩვეულებრივი ნათურის ქვეშ, მესამე, ფიქსაჟის ხსნარისთვის განკუთვნილი აბაზანა, გვამის გვერდით მოეთავსებინათ. ოთახში უწესრიგოდ მიმოფანტულიყო ძველი ყურნალ-გაზეთები, შუქმგრძნობიარე ფირფიტებზე დამაგრებული ნეგატივები და დამტვრეული ავეჯი, საიდანაც ვილაცის მზრუნველ ხელს საგულდაგულოდ გადაენმინდა მტვერი.

მართალია, ღია ფანჯრიდან გამოჭრილ ნიავს ოთახის ჩამყაყებუ-
ლი ჰაერი გაენმინდა, მაგრამ გამოცდილი კაცი მაინც შეიგრძნობ-
და უიღბლო სიყვარულის მწარე ნუშის მხურვალე და მშფოთვარე
სუნს. ექიმ ხუვენალ ურბინოს არაერთხელ უფიქრია, ყოველგვარი
წინათგრძნობის გარეშე, რომ ეს ოთახი სულაც არ იყო უფლისთ-
ვის სულის მიბარების შესაფერისი ადგილი, მაგრამ შემდეგ დაას-
კვნა, რომ შეიძლება ეს არეულობაც განგების მიერ დადგენილ
ნესს ექვემდებარებოდა.

პოლიციის კომისარს უკვე მოესწრო შემთხვევის ადგილას
მისვლა, თან სამედიცინო ფაკულტეტის ძალზე ახალგაზრდა
სტუდენტი წამოყვანა, რომელიც სასამართლოს ექიმის პრაქ-
ტიკას გადიოდა მუნიციპალიტეტის დისპანსერში. სწორედ მათ
გაანიავეს ოთახი ექიმ ხუვენალ ურბინოს მოსვლამდე და გვამს
საბანი წააფარეს. ორივე ცერემონიულად მიესალმა ექიმს, მათ
მისალმებაში მოწინებაზე მეტად თანაგრძნობა გამოსჭვიოდა,
რადგან ყველამ იცოდა მისი და ხერემია დე სენტ ამურის მეგობ-
რობის ამბავი. დიდმა მაცესტრომ ორივეს ჩამოართვა ხელი, რო-
გორც ყველა თავის სტუდენტს ართმევდა მთავარ საავადმყო-
ფოში ყოველდღიური ლექციის დაწყების წინ. შემდეგ საბანს
ყვავილივით ჩაავლო ცერა და საჩვენებელი თითის წვერები და
ნელ-ნელა, საკრამენტული სიფრთხილით გადახადა გვამს. შიშველ
და თვალღია მიცვალებულს გალურჯებული სხეული გახევებოდა
და დაღმეჭოდა. წინა ღამის შემდეგ თითქოს ორმოცდაათი წლით
დაბერებულიყო. გამჭვირვალე გუგები ჰქონდა, მოყვითალო თმა-
წვერი და მუცელზე ძველი, გაკერილი ნაჭრილობევი მოუჩანდა.
გულ-მკერდი და მკლავები ყავარჯნებით სიარულისაგან კატორ-
ლელივით ჰქონდა განვითარებული, სამაგიეროდ, პრიალა ფეხები
ობლისას მიუგავდა. ექიმმა ხუვენალ ურბინომ რამდენიმე წამი
გულისტკივილით ათვალიერა გვამი, რაც იშვიათი შემთხვევა იყო
სიკვდილის წინააღმდეგ მისი მრავალწლიანი უშედეგო ბრძოლის
მანძილზე.

– მხდალო, – თქვა, – უარესი უკან დარჩა.

გვამს ისევ საბანი დააფარა და აკადემიური ქედმაღლობა
დაიბრუნა. მან შარშან 80 წლის იუბილე აღნიშნა სამდღიანი

ოფიციალური ზეიმით და სამადლობელ სიტყვაში კიდევ ერთხელ უარყო პენსიაზე გასვლის ცდუნება. „სიკვდილის შემდეგაც საკმარისი დრო მექნება დასასვენებლად, თუმცა სიკვდილი ჩემს გეგმებში ჯერ არ შედისო“, გამოაცხადა, იმის მიუხედავად, რომ მარჯვენა ყურში სულ უფრო აკლდებოდა სმენა და ვერცხლის ბუნიკიან ხელჯოხსაც საიმედოდ ეყრდნობოდა ნაბიჯისთვის სიმტკიცის მისაცემად, მაინც ახალგაზრდობისდროინდელი პენით ეცვა ტილოს კოსტიუმი, ჟილეტზე კი საათის ოქროს ძეწკვი ეკიდა. პასტორის სადაფისფერი წვერი და ისეთივე, კარგად დავარცხნილი, შუაში სწორად გაყოფილი თმაც მის ხასიათს ამჟღავნებდა. მახსოვრობის ღალატს, დღითი დღე რომ ძლიერდებოდა, ქალაღდის ნაგლეჯზე ნაჩქარევად მიწერილი ჩანიშვნებით ავსებდა, რომლებსაც შემდეგ ჯიბეებში ისევე ეძებდა, როგორც ინსტრუმენტებს, წამლების ფლაკონებსა და სხვა საჭირო ნივთებს ექიმის გატენილ ჩემოდანში. იგი მარტო ყველაზე ხნიერი და სახელგანთქმული კი არა, ყველაზე მოხდენილი ექიმიც იყო მთელ ქალაქში, თუმცა ეს თვალშისაცემი განსწავლულობა და არცთუ იოლად სამართავი მისი სახელის გავლენა საჭიროზე ბევრად ნაკლებ ძალისხმევად დაუჯდა.

ექიმმა ზუსტი და სწრაფი მითითებები მისცა პოლიციის კომისარსა და პრაქტიკანტს. გაკვეთა საჭირო არ იყო. სახლში დამდგარი სუნი მოწმობდა, რომ სიკვდილის მიზეზი რომელიმე ფოტოგრაფიული მჟავით გააქტიურებული ციანიდის აორთქლება იყო. ხერემია დე სენტ ამური კი ისე კარგად ერკვეოდა ამ საქმეში, რომ უბედური შემთხვევა გამორიცხული იყო. პოლიციის კომისარის ყოყმანს, როგორც სჩვეოდა, ერთი დარტყმით მოუღო ბოლო: „არ დაგავინყდეთ, რომ გარდაცვალების ცნობას მე ვანერ ხელს“, – თქვა, რითაც გული დასწყვიტა ახალგაზრდა პრაქტიკანტს, რომელსაც პირველად ეძლეოდა შესაძლებლობა, ოქროს ციანიდის ეფექტი შეესწავლა გვამში. ექიმ ხუვენალ ურბინოს გაუკვირდა, რატომ არ ახსოვდა ეს ახალგაზრდა სამედიცინო სკოლიდან, მაგრამ მის სიმორცხვესა და ანდურ აქცენტს რომ მიაქცია ყურადღება, იფიქრა, ალბათ ქალაქში ახალი ჩამოსულიაო. „ისლა

გვაკლია, ვინმე სიყვარულით გაგიჟებულმა ერთ დღეს იგივე გაიმეოროს“, თქვა მან და უცებ გაიაზრა, რომ მის მესხიერებაში შემორჩენილი უამრავი თვითმკვლევლობიდან ეს ერთადერთი იყო ციანიდით და არა სიყვარულის მოტივით ჩადენილი.

– ასეთი შემთხვევა რომ მოგეცემათ, კარგად დააკვირდით, გულში ქვიშა რჩება ხოლმე, – ხმაშეცვლილმა მიმართა პრაქტიკანტს.

შემდეგ ხელქვეითივით უბრძანა პოლიციის კომისარს, ყველა ინსტანციაში მოგვევარებინა საქმე, რათა იმ სალამოსვე და, შეძლებისდაგვარად, გაუხმაურებლად დაეკრძალათ მიცვალებული. „ალკალდს¹ მოგვიანებით დაველაპარაკებთ“, – თქვა. ექიმმა იცოდა, რომ პრიმიტიულად მტკიცე ხასიათის ხერემია დე სენტ ამური თავის ხელობით საჭიროზე მეტ ფულს შოულობდა და რომელიმე უჯრაში აუცილებლად იდებოდა დამარხვის ხარჯების დასაფარი ფული.

– მაგრამ, თუ ვერ იპოვით, არა უშავს, – თქვა, – მე მივხედავ ყველაფერს.

კომისარს უბრძანა რეპორტიორებისათვის ეთქვა, რომ ფოტოგრაფი ბუნებრივი სიკვდილით აღესრულა, თუმცა, დარწმუნებული იყო, ეს ამბავი მათ არც დააინტერესებდათ. „თუ საჭირო გახდა, გუბერნატორსაც დაველაპარაკებთ“, – თქვა. სერიოზულმა და მორიდებულმა კომისარმა იცოდა, რომ მანესტროს მოქალაქეობრივი სიმკაცრე მის უახლოეს მეგობრებზეც ვრცელდებოდა და უკვირდა, ახლა რა იოლად უვლიდა გვერდს კანონებს, ოღონდ კი დაკრძალვა დაეჩქარებინა. ერთადერთი, რაზეც ვერ დაეთანხმა ექიმს, არქივისკოპოსთან საუბარი იყო, რათა ხერემია დე სენტ ამური ნაკურთხ მიწაში დაემარხათ და საკუთარი თავხედობით შენუხებულმა, იქვე სცადა ბოდიში მოეხადა.

– გაგონილი მქონდა, რომ ეს კაცი წმინდანი იყო.

– უფრო საოცარი, ათეისტი წმინდანი იყო, – თქვა ექიმმა ურბინომ, – მაგრამ ეს უკვე ღმერთის საქმეა.

¹ ალკალდი – ქალაქის თავი.

შორს, კოლონიური ქალაქის მეორე ბოლოდან მთავარი მესის ზარების რეკვა მოისმა. ექიმმა ნახევარმთვარის ფორმის ოქროს-ჩარჩოიანი სათვალე გაიკეთა, ძენკვზე დაკიდებულ კვადრატულ, ნატიფად ნაკეთებ საათს დახედა, რომლის სახურავი ზამბარით ილებოდა და მიხვდა, რომ წმინდა სამების მესაზე აგვიანდებოდა.

მისაღებ ოთახში ბორბლებზე შემდგარი, ვეება ფოტოაპარატი იდგა, ისეთი, სასაეირნო პარკებში რომ დგას ხოლმე. მის უკან ხელით ნაქარგი ლურჯი ფარდა ეკიდა, კედლებზე კი ბავშვების, მათთვის ღირსშესანიშნავ თარიღებში გადაღებული სურათები გაემწკრივებინათ: პირველი ზიარება, კარნავალზე – კურდღლის კოსტიუმში, ბედნიერ დაბადების დღეს და ა. შ. კედლების ფოტოების ნელ-ნელა განახლებას წლობით აკვირდებოდა საჭადრაკო სალამოების დროს მორიგ სვლაზე ჩაფიქრებული ექიმი ხუვენალ ურბინო და არაერთხელ აღუნიშნავს მწარე წინათგრძნობით შენუხებულს, რომ ეს შემთხვევითი სურათების გალერეა მომავლის ჩანასახი იყო, რომელშიც მისი დიდების ფერფლიც არ დარჩებოდა.

საწერ მაგიდაზე, ზღვის მგლის ჩიბუხებით სავსე ქილის გვერდით ჭადრაკის დაფა იყო გაშლილი. დაუმთავრებელი პარტიის, სიჩქარისა და ცუდი განწყობის მიუხედავად, ექიმმა ცდუნებას ვერ გაუძლო და დაფას დააკვირდა. იცოდა, წინა ღამის პარტია იქნებოდა, რადგან ხერემია დე სენტ ამური ყოველ სალამოს თამაშობდა სულ ცოტა სამ სხვადასხვა მოწინააღმდეგესთან, მაგრამ პარტიას ყოველთვის ასრულებდა და ჭადრაკის დაფას და ფიგურებს საწერი მაგიდის უჯრაში ინახავდა. იგი მუდამ თეთრი ფიგურებით თამაშობდა და ექიმი მიხვდა, რომ ფოტოგრაფს ოთხ სვლაში შამათი ელოდა. „მკვლელობა რომ მომხდარიყო, მეცოდინებოდა, ვინ არის დამნაშავე“, – თქვა, – „მხოლოდ ერთი კაცი მეგულება, ასეთი შამათის ჩასმა რომ შეეძლოს“.

იცოდა, ვერ მოისვენებდა, სანამ მოგვიანებით არ დაადგენდა, ამ მოუსვენარმა ჯარისკაცმა, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლას რომ იყო მიჩვეული, რატომ დატოვა დაუმთავრებელი თავისი უკანასკნელი ბრძოლა.

დილის ექვს საათზე, ბოლო შემოვლას რომ აკეთებდა, ღამის დარაჯმა ქუჩის კარზე მიკრული წარწერა შეამჩნია: „დაუკაკუნებლად შემოდით და პოლიციას აცნობეთ“. ცოტა ხანში პოლიციის კომისარიც მოვიდა პრაქტიკანტის თანხლებით და ორივემ გულმოდგინედ გაჩხრიკა სახლი მწარე ნუშის შეუმცდარი სუნის ჭემ-მარიტი წყაროს ძიებაში. რამდენიმე წუთში, რაც დაუმთავრებელი პარტიის ანალიზს დასჭირდა, კომისარმა სანერი მაგიდის ქალაღებში გაბნეული ექიმ ხუვენალ ურბინოს სახელზე დაწერილი კონვერტი იპოვა, რომელიც იმდენ ადგილას იყო დაბეჭდილი, რომ წერილის ამოსაღებად კონვერტის დამტვრევა გახდა საჭირო. ექიმმა ფანჯრის შავი ფარდა გასწია სინათლის შემოსაშვებად, მონდომებული ხელით ორივე მხარეს დაწერილ თერთმეტ გაკეცილ ფურცელს გადაავლო თვალი და პირველი აბზაცის წაკითხვისთანავე მიხვდა, რომ სამების ზიარებაზე ველარ წავიდოდა. სუნთქვააჩქარებული შეუდგა კითხვას, რამდენჯერმე უკან დაბრუნდა თხრობის განწყვეტილი ძაფის აღსადგენად და კითხვას რომ მორჩა, მოეჩვენა, თითქოს ის-ის იყო შორი და ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნდა. ცდილობდა მღელვარება არ გამოეხატა, მაგრამ ტუჩები მიცვალებულივით გალურჯებოდა და წერილს რომ კეცავდა ჟილეტის ჯიბეში შესანახად, ხელები უკანკალებდა. მაშინლა მოაგონდა პოლიციის კომისარი და პრაქტიკანტი, მწუხარების ჯანლიდან გაულიმა და თქვა:

– არაფერი განსაკუთრებული, უკანასკნელი სურვილებია.

ნაწილობრივ ასეც იყო. მაგრამ მათ მაშინვე დაუფერეს, რადგან ექიმმა იატაკიდან მორყეული ფილის აღება ბრძანა, რომლის ქვეშ გვარიანად გაცვეთილ ანგარიშის წიგნაკში სეიფის კოდი ეწერა. სეიფში მოსალოდნელზე ნაკლები ფული აღმოჩნდა, მაგრამ, რაც ნახეს, სრულიად ეყოფოდა დაკრძალვისა და სხვა წვრილმანი ხარჯების დაფარვას. ექიმი ურბინო დარწმუნებული იყო, რომ სახარების კითხვამდე ვერ მიასწრებდა ეკლესიაში.

– ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე, მესამედ ვაცდენ საკვირაო მესას, – თქვა, – მაგრამ ღმერთს ესმის ჩემი.

ამჯობინა, კიდევ რამდენიმე წუთი შეყოვნებულიყო და ყველა წვრილმანი მოეგვარებინა, თუმცა ერთი სული ჰქონდა, ვიდრე

ცოლს გაანდობდა წერილის საიდუმლო აღსარებას. მან თავის თავზე აიღო ქალაქში მცხოვრები კარიბის ზღვის აუზის მრავალრიცხოვანი ლტოლვილების გაფრთხილება იმ შემთხვევისთვის, თუ მოისურვებდნენ უკანასკნელი პატივი მიეგოთ კაცისთვის, რომელიც ყველა მათგანზე მეტი პატივისცემით სარგებლობდა, ყველაზე აქტიური და რადიკალური იდეების მატარებელი იყო, თუმცა ცხოვრების იმედგაცრუებას სიკვდილით განერიდა. მანვე ითავა გარდაცვლილის მუდმივი მეგობრებისა და საჭადრაკო მონინააღმდეგეების გაფრთხილება, რომელთა შორის სახელგანთქმულ პროფესიონალებთან ერთად უსახელო ახალბედებიც იყვნენ. სიკვდილის შემდეგ წასაკითხი წერილის გაცნობამდე ეგონა, რომ თავად იყო პირველი ჭირისუფალი, მაგრამ ახლა აღარაფერში იყო დარწმუნებული.

ყოველ შემთხვევაში, გარდენიების გვირგვინის გამოგზავნა ჰქონდა გადანყვეტილი, იქნებ ხერემია დე სენტ ამურმა უკანასკნელ წუთს მოინანია კიდევ თავისი საქციელი. როგორც ყოველთვის, სიცხიან თვეებში, დაკრძალვა ხუთ საათზე შედგებოდა. თუ ის დასჭირდებოდათ, თორმეტი საათიდან თავისი საყვარელი მოსწავლის, ექიმ ლასიდეს ოლიველიას აგარაკზე იქნებოდა, რომელიც საზეიმო ბანკეტით აღნიშნავდა ვერცხლის ქორწილს.

ექიმ ხუვენალ ურბინოს იოლად სავალი გზა ერგო წილად, უკან ჩამოიტოვა შეიარაღებული არეულობის შფოთიანი წლები და პროვინციაში არნახულ პატივისცემასა და პრესტიჟს მიაღწია. იგი მამლის პირველი ყვილისთანავე დგებოდა და ჩუმად სვამდა წამლებს: კალიუმის ბრომიდს – განწყობილების ასამაღლებლად, სალიცილის მჟავის მარილს – წვიმების სეზონზე ძვლების ტკივილის დასაამებლად, ჭვავის ზეთის წვეთებს – თავბრუსხვევის წინააღმდეგ, ბელადონას – კარგად რომ სძინებოდა. ყოველ საათში სვამდა რამეს, სხვებისგან უჩუმრად, რადგან ექიმობისა და ლექტორობის მრავალწლიანმა გამოცდილებამ მიახვედრა, რომ არ შეიძლებოდა სიბერის წინააღმდეგ პალიტიური საშუალების გამოწერა: მისთვის ბევრად იოლი იყო სხვისი ტკივილების ატანა, ვიდრე თავისი. ჯიბეში ყოველთვის ედო ქაფურის ბალიში,

რომელსაც ხშირად სუნავდა მარტოდარჩენილი, რათა ამდენი ერთმანეთში არეული წამლის შიში მოეცილებინა.

ერთი საათის განმავლობაში თავის კაბინეტში იყო და საერთო მედიცინის პრაქტიკულ კურსს ამზადებდა, რასაც სამედიცინო სკოლაში კითხულობდა ყოველდღე სიკვდილამდე – ორშაბათიდან შაბათამდე, დილის რვა საათზე. ასეთივე ყურადღებით ეცნობოდა ლიტერატურის სიახლეებს, რომლებსაც პარიზიდან უგზავნიდნენ ფოსტით, ან ბარსელონას წიგნების მალაზიის ადგილობრივ ფილიალში უკვეთავდა, თუმცა ესპანურენოვან ლიტერატურას ნაკლები ყურადღებით ეკიდებოდა, ვიდრე ფრანგულს. დილით არასოდეს კითხულობდა. ამ საქმიანობას სიესტის ერთ საათს ან ღამე, ძილის წინა დროს უთმობდა ხოლმე. კაბინეტში მუშაობის შემდეგ თხუთმეტწუთიან სუნთქვით ვარჯიშებს აკეთებდა ღია ფანჯრის წინ და ყოველთვის იმ მხრიდან ისუნთქავდა, საიდანაც მამლების ყივილი ისმოდა, ე. ი. სუფთა ჰაერი მოდიოდა. შემდეგ ბანაობდა, წვერს ინესრიგებდა და ულვაშზე ფარინა გეგენიუბერის ოდეკოლონს იპკურებდა. ბოლოს ტილოს თეთრ კოსტიუმს, ჟილეტსა და ტარსიკონის ფეხსაცმელს იცვამდა და რბილ ქუდს იხურავდა. ოთხმოცდაერთი წლის ასაკში ახალგაზრდული მსუბუქი მოძრაობები და სულის იმდროინდელი ამაღლებული განწყობა შეენარჩუნებინა, პირველად რომ დაბრუნდა პარიზიდან, ქოლერის ეპიდემიის შემდეგ, შუაზე გაყოფილი და საგულდაგულოდ დავარცხნილი თმაც ახალგაზრდობისა გამოჰყვა, ოღონდ ლითონისფერი გაუხდა. დილაობით სახლში საუზმობდა საკუთარი მენიუთი: აბზინდის ყვავილის ნაყენს სვამდა კუჭისთვის, მერე ერთ თავ ნიორს აქუცმაცებდა და გულმოდგინედ ღეჭავდა პურის კვერთან ერთად ქოშინის წინააღმდეგ. ლექციის შემდეგ იშვიათად, რომ რაიმე საქმე არ გასჩენოდა თავის სამოქალაქო აქტიურობასთან, კათოლიკურ მილიციასთან, არტისტულ ან სოციალურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

თითქმის ყოველდღე სახლში სადილობდა. პატიოს¹ ტერასაზე ათი წუთით წათვლემდა და მანგოს ფოთლებქვეშ მოახლეთა სიმ-

¹ პატიო – შიდა ეზო.

ღერა, ქუჩის ხმაური და ყურეში ძრავების გუგუნე ესმოდა. იქიდან მომავალი ზეთისა და შუადლის დასიცხული სახლის ობიექტები ერთმანეთს ერწყმოდა და სიმყრალეში დაბმული ანგელოზის სუნი დგებოდა.

შემდეგ ერთი საათი ახალ წიგნებს კითხულობდა, განსაკუთრებით რომანებს ან ისტორიულ გამოკვლევებს, ან ფრანგულისა და სიმღერის გაკვეთილებს უტარებდა შინაურ თუთიყუშს, რომელიც კარგა ხანია ადგილობრივ ღირსშესანიშნაობად ქცეულიყო. ოთხ საათზე ყინულჩაყრილი ლიმონათით სავსე დოქს გამოსცლიდა და ავადმყოფების სანახავად მიდიოდა. ასაკის მიუხედავად, უარს ამბობდა ავადმყოფების საკონსულტაციო ოთახში მიღებაზე და ისევ სახლში აკითხავდა მათ, როგორც დიდი ხნის წინ, როცა ქალაქი ისე პატარა იყო, რომ ფეხით ნებისმიერ ადგილას მიხვიდოდი.

ევროპიდან ჩამოსვლის შემდეგ ჯერ ორი ოქროსფერცხენებში მული საოჯახო ლანდოთი დადიოდა, რომელიც მოგვიანებით ერთცხენიანი ეტლით შეცვალა. სულ არ აქცევდა ყურადღებას მოდას, მაშინაც კი, როცა ეტლები ნელ-ნელა გაქრა ქალაქიდან და თითებზე ჩამოსათვლელი რამდენიმე ცალი ტურისტების გასასეირნებლად და სამგლოვიარო გვირგვინების გადასაზიდად დადარჩა. პენსიაზე გასვლაზე უარს ამბობდა. თუმცა იცოდა, რომ მხოლოდ უიმედო ავადმყოფებთან იძახებდნენ. მაგრამ იგი ამა-საც დახელოვნების ერთ-ერთ ფორმად თვლიდა. დიაგნოზს ერთი შეხედვით სვამდა, ურწმუნოდ ეკიდებოდა პატენტიტ დამზადებულ წამლებს და შეშფოთებული ადევნებდა თვალს ქირურგის ასე გავრცელებას. „ქირურგიული დანა მედიცინის ყველაზე დიდი მარცხიაო“, ამბობდა, ფიქრობდა, რომ ყოველი წამალი გარკვეულწილად სანამლავი იყო და რომ ყოველდღიური საკვების 70 პროცენტი სიკვდილს აჩქარებდა. „მხოლოდ ერთეულმა ექიმებმა იციან მედიცინა“, – ამბობდა ხოლმე კლასში. ახალგაზრდული ენთუზიაზმის შემდეგ იმ პოზიციაზე დადგა, რასაც თავად ფატალისტურ ჰუმანიზმს უწოდებდა. „ყოველი ადამიანი თავისი სიკვდილის მფლობელია და ერთადერთი, რაც აღსასრულის მოახ-

ლოებისას შეგვიძლია გავაკეთოთ, ისაა, რომ კაცს დავეხმაროთ შიშისა და ტკივილის გარეშე მოკვდესო“, ქადაგებდა.

ამ რადიკალური იდეების მიუხედავად, რაც უკვე ადგილობრივი სამედიცინო ფოლკლორის კუთვნილება გამხდარიყო, მისი ნამონაფრები ცნობილი ექიმები რომ ხდებოდნენ, რჩევას მაშინაც ეკითხებოდნენ, რადგან, როგორც ამბობდნენ, ექიმის გამჭრიახი თვალი ჰქონდა. ასეა თუ ისე, იგი ყოველთვის ძვირადღირებული და გამორჩეული ექიმი იყო და მისი პაციენტების ეზოიანი, ძველებური სახლები მეფის ნაცვლის უბანში იყო თავმოყრილი.

ისეთი ანყობილი განრიგი ჰქონდა, რომ ცოლმა დღის ნებისმიერ წუთში იცოდა, სად გაეგზავნა შიკრიკი განსაკუთრებულ შემთხვევაში. ახალგაზრდობაში, სახლში დაბრუნებამდე, მრევლის კაფეში ყოვნდებოდა ხოლმე, სადაც ჭადრაკის თამაშში დახელოვნდა თავისი სიმამრის თანამოაზრეებთან და კარიბელ ლტოლვილებთან. ახალი საუკუნის დასაწყისში კაფეს თავი დაანება და სცადა ტურნირი მოეწყო, რომელსაც სოციალური კლუბი დააფინანსებდა. იმხანად ხერემია დე სენტ ამური ჩამოვიდა დადამბლავებული მუხლებით. მას ჯერაც არ ჰქონდა ბავშვთა ფოტოგრაფის პროფესია, მაგრამ სამ თვეში ყველამ, ვინც ჭადრაკის ერთი ფიგურის სვლა მაინც იცოდა, გაიცნო იგი, როგორც დაუმარცხებელი მონინალმდეგე. ექიმი ხუვენალ ურბინო, ბედისწერის გამოისობით, სწორედ მაშინ შეხვდა ლტოლვილს, როცა ჭადრაკი მისთვის სახიფათო გატაცებად გადაიქცა და მონინალმდეგეებს სანთლით ეძებდა.

სწორედ მისი წყალობით იქცა ხერემია დე სენტ ამური იმ კაცად, ვინც მერე ჩვენ შორის გაითქვიფა. ექიმი ურბინო მისი უანგარო მფარველი და თავმდები გახდა ისე, რომ არც დაინტერესებულა, ვინ იყო, რას საქმიანობდა და რომელ უსახელო ბრძოლაში იქცა ინვალიდად. საბოლოოდ ფულიც ასესხა ფოტოგრაფიული სალონის გასახსნელად, რაც ხერემია დე სენტ ამურმა უკანასკნელ კუარტილიომდე პატიოსნად გადაუხადა იმ დღიდან, მაგნეზიის გაელვებით შეშინებულ პირველ ბავშვს რომ გადაუღო სურათი.

ყველაფერი ჭადრაკის გამო მოხდა. ჯერ ნავაზშმევს, სალამოს შვიდ საათზე თამაშობდნენ ექიმის აშკარა უპირატესობით, რომელიც თანდათან ქრებოდა, სანამ ღირსეულ მონინალმდეგეებად არ იქცნენ. მოგვიანებით, როცა დონ გალილეო დაკონტემ კინოს პირველი ღია დარბაზი გახსნა, ხერემია დე სენტ ამური მისი ერთ-ერთი ყველაზე პუნქტუალური კლიენტი გახდა და ჭადრაკის პარტიები ფილმის შემდეგ ღამის დარჩენილი დროისათვის გადაიდო. უკვე მაშინ ექიმი ისე დაუმეგობრდა, რომ კინოშიც კი დაჰყვებოდა, ოღონდ უცოლოდ. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ქალს არ ჰყოფნიდა მოთმინება არგუმენტების გრძელ ჯაჭვს ბოლომდე მიჰყოლოდა, თანაც ინტუიციით გრძნობდა, რომ ხერემია დე სენტ ამურის საზოგადოება არავისთვის იქნებოდა სასიამოვნო.

კვირაობით ექიმის განრიგი იცვლებოდა. ჯერ ტაძარში მესას ესწრებოდა, შემდეგ სახლში ბრუნდებოდა და პატიოს ტერასაზე ისვენებდა ან კითხულობდა. საგანგებო შემთხვევების გარდა, არც ავადმყოფებთან დადიოდა და უკვე რამდენიმე წელი, თუ ძალიან სავალდებულოდ არ თვლიდა, საზოგადო მოღვაწეობასაც გაურბოდა. სამების იმ დღეს ორი უცნაური მოვლენა დაემთხვა ერთმანეთს. მეგობრის სიკვდილი და საყვარელი მოსწავლის ვერცხლის ქორწილი. ცნობისნადილით ატანილი ექიმი ურბინო სახლში დაბრუნების ნაცვლად, რაც გადანყვეტილი ჰქონდა ხერემია დე სენტ ამურის სიკვდილის დამონმების შემდეგ, ცდუნებას აჰყვა და გზიდან გადაუხვია.

ეტლში ჩაჯდა თუ არა, სწრაფად გადაავლო თვალი სიკვდილის წინ დაწერილ ბარათს და მეეტლეს უბრძანა, მონათა ძველ უბანში ძნელადმისაგნებ მისამართზე მიეყვანა. ეს გადანყვეტილება ისე ეწინააღმდეგებოდა მის ჩვევებს, რომ მეეტლემ ყურებს არ დაუჯერა და ხელმეორედ შეეკითხა, ხომ არაფერი მეშლუბაო. ყველაფერი სწორი იყო: მისამართი გარკვევით ეწერა და მის დამწერს ყველა საფუძველი ჰქონდა, რომ კარგად სცოდნოდა იგი. ექიმი ხუვენალ ურბინო ისევ პირველ ფურცელს მიუბრუნდა და კვლავ ჩაიძირა უსიამოვნო აღსარების დასაწყისში, რომელსაც მისი ცხოვრების შეცვლა შეეძლო ახლაც კი, მის ასაკში, დარწ-

მუნებულები რომ ყოფილიყო, სიმართლეს კითხულობდა და არა იმედგაცრუებული კაცის ბოძვას.

გამთენიისას ცხადი გახდა, რომ მოღრუბლული და გრილი დღე იქნებოდა, მაგრამ შუადღემდე არ უნდა განვიმებულებიყო. მოკლე გზის ძებნაში მეეტლემ კოლონიური ქალაქის მოკირწყლულ მოსახვევში შეუხვია და იძულებული გახდა რამდენჯერმე გაეჩერებინა ეტლი, რომ ცხენი კოლეჯის მოსწავლეებსა და სამების ლიტურგიიდან მომავალ პროცესიებს არ დაეფრთხოთ. ქუჩები ქალაქის ყვავილწილებით იყო მორთული, ყველგან მუსიკა ჟღერდა და აივნებიდან მუსლინის ფურჩალებით მოკაზმულკაბებიანი და მზის ფერადი ქოლგით მოკეკლუცე გოგონები იყურებოდნენ. ტაძრის მოედანზე, სადაც ძლივსა ჩანდა აფრიკულ პალმებსა და ბურთებივით მრგვალ, ახალ ფარნებში ჩაკარგული ელ ლიბერთადორის¹ ქანდაკება, მესადან გამოსულ მლოცველთა მანქანები ჩახერგილიყო. ხმაურიან და პრესტიჟულ მრევლის კაფესთან ცარიელი ადგილი არ ჩანდა. იმდენ ავტომანქანაში ერთადერთი ეტლი ექიმ ურბინოსი იყო, რომელიც დიდად გამოირჩეოდა ქალაქში აქა-იქ შემორჩენილი ეტლებისაგან, რადგან ლაქის კაპოტი მუდამ უბზინავდა, ხოლო გვარჯილას რომ არ შეეჭამა, რკინის ნაწილების ნაცვლად, ბრინჯაოსი ეყენა, თვლები და მათრახი კი ნითელ-ოქროსფერი ზოლებით მოეხატათ, როგორც ვენის ოპერა საზეიმო საღამოებში. ამას გარდა, თუ ქალაქის ყველაზე პრანჭია ოჯახები იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ მათ მძღოლებს სუფთა ტანსაცმელი სცემოდათ, ექიმ ურბინოს მეეტლეს ისევ ხავერდის ლივრეა ეცვა და ცირკის მომთვინიერებლის ცილინდრი ეხურა, რომელიც, გარდა იმისა, რომ ანაქრონული იყო, კარბის ხვატში სასჯელად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა.

ქალაქისადმი მანიაკური სიყვარულის მიუხედავად, ექიმ ხუვენალ ურბინოს იშვიათად გაურისკავს კვირას მონათა ძველ უბანში გასეირნება. მეეტლე იძულებული გახდა რამდენჯერმე ეცვალა

¹ ელ ლიბერთადორი – განმათავისუფლებელი. იგულისხმება სიმონ ბოლივარი.

გეზი და გამვლელებისთვის ეკითხა, როგორ მისულიყო აღნიშნულ მისამართზე. ექიმი ურბინო კარგად იცნობდა ქაობის საშინელე-ბებს, მის ავისმაუნეებელ სიჩუმეს და სულის შემხუთველ გაზებს, რომლებიც გამთენიისას არაერთხელ შეჭრილან პატიოს უასმინის სურნელში გახვეული სანოლი ოთახის ფანჯრებში. იგი მათ წინა დღის ქარივით ივიწყებდა და თავის ცხოვრებას არ უკავშირებდა. ნოსტალგიით მრავალჯერ გაიდევალებული ეს სიმყრალე მწარე სინამდვილედ იქცა, როცა ეტლი ოღროჩოღრო ქუჩაზე აჯაყჯაყ-და, სადაც სვავეები სასაკლაოდან ჭუჭყიანი ნაკადულებით ჩამო-ტანილ ხორცის ნაგლეჯებს ეცილებოდნენ ერთმანეთს.

მეფის ნაცვლის უბნის ქვის სახლებისგან განსხვავებით, აქ თუთიის სახურავებიანი, ხიმინჯებზე შეყენებული, შეუღებავი ფიცრულები იდგა, რათა ჯერ კიდევ ესპანელების დატოვებული ქვის სამტეხლოებიდან წამოსული რუები სახლებში არ შეჭრილი-ყო. ყველაფერს საცოდავი და მიტოვებულის იერი ედო, ბინძური დუქნებიდან კი მუსიკის მჭექარე ხმა ისმოდა ღარიბთა უღმერთო და უკანონო სამების დღესასწაულის აღსანიშნავად. როცა, ბოლოს და ბოლოს, საჭირო სახლს მიაგნეს, ეტლს უკვე შიშველი ბავშვების ჯგრო აჰკიდებოდა და მეეტლის თეატრალურ მორთულო-ბას დასცინოდა, ის კი მათრახით აფრთხოვდა აბეზრებს. ექიმი ურბინო კონფიდენციალური სტუმრობისთვის ემზადებოდა, მაგრამ გვიან მიხვდა, რომ მისი გულწრფელობის ყველაზე ნაღდი თავდები, მისივე ასაკი იყო.

უნომრო სახლის ფასადი მხოლოდ იმით განსხვავდებოდა მეზობელი, ნაკლებად ბედნიერი სახლებისგან, რომ რომელიღაც ძველი ეკლესიიდან ჩამოხსნილი კარი ება და ფანჯრებზე მაქ-მანებიანი ფარდები ეკიდა. მეეტლემ კარის ჩაქუჩს შემოჰკრა, დარწმუნდა, რომ ის სახლი იყო, რომელსაც ეძებდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ მიეხმარა ექიმს ეტლიდან ჩამოსვლაში. კარი უხმაუ-როდ გაიღო და ოთახის ბინდბუნდში შავებში ჩაცმული, ყურსუკან წითელვარდგაჩრილი სოლიდური ასაკის ქალი გამოჩნდა. წლების მიუხედავად (ორმოცზე ნაკლების არ იქნებოდა). ისევ ძველებუ-რად ამაყი მულატი იყო ოქროსფერი, მკაცრი თვალებითა და თა-

ვის ქალის გარშემო რკინის ჩაჩქანივით შემოხვეული თმით. ექიმმა ურბინომ ქალი ვერ იცნო, თუმცა რამდენჯერმე ჰყავდა ნანახი ფოტოგრაფის სალონის ბურუსში ჭადრაკის პარტიებს შორის და რამდენჯერმე ქინაქინაც კი გამოუწერა ციებ-ცხელებისათვის. ქალს ხელი გაუწოდა და იმანაც თავისი ხელი შეაგება, უფრო იმიტომ, რომ შესვლაში დახმარებოდა. ავეჯითა და თავიანთ კუთვნილ ადგილას მდგარი პირველი მოხმარების საგნებით გაჭედდნის ოთახში ტყის ჰაერი და იდუმალი შარიშური იდგა. ექიმ ურბინოს მწუხარების გარეშე გაახსენდა ერთი პარიზელი ანტიკვარის სალონი მონმარტრის 28 ნომერში, გასული საუკუნის ერთ-ერთი შემოდგომის ორშაბათ დღეს. ქალი მის პირდაპირ ჩამოჯდა და დამტვრეული ესპანურით ალაპარაკდა:

– ეს თქვენი სახლია, ექიმო, – თქვა, – ასე მალე არ გელოდით.

ექიმმა ურბინომ დაბეზლებულივით იგრძნო თავი. ქალს გულსყურით დააკვირდა. მისი ძაძები და სამგლოვიარო განწყობილება შეამჩნია და მიხვდა, რომ ტყუილად გაისარჯჯა, რადგან ქალმა აშკარად იმაზე მეტი იცოდა, რაც ხერემია დე სენტ ამურის უკანასკნელ წერილში ეწერა. ასეც იყო. ქალი სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე ყოფილა მასთან და საერთოდაც ნახევარზე მეტი ცხოვრება გაუტარებია მის გვერდით ერთგულებითა და სინაზით სავსეს, ასე რომ ჰგავდა სიყვარულს. ეს კი არავის შეუმჩნევია პროვინციის ამ მთვლემარე ქალაქში, სადაც სახელმწიფო საიდუმლოებებიც კი არ იმალებოდა. მათ ერთმანეთი ქალის მშობლიურ ქალაქ პორტ-ო-პრენსის მოგზაურთა საავადმყოფოში გაიცნეს, სადაც კაცმა ლტოლვილობის პირველი წლები გაატარა. შემდეგ, აქ გადმოსახლებულს, ერთი წლის შემდეგ ჩამოაკითხა ქალმა ვითომ მცირე ხნით, თუმცა ორივე უთქმელად გრძნობდა, რომ სამუდამოდ მასთან დარჩებოდა. ქალი ლაბორატორიას ალაგებდა კვირაში ერთხელ, მაგრამ ყველაზე გაქეპილი მეზობლებიც კი ვერ ხვდებოდნენ სიმართლეს, რადგან მთელი ქალაქი დარწმუნებული იყო, რომ ხერემია დე სენტს ამურს მარტო ფეხები არ ჰქონდა გამხმარი. მედიცინაზე დაყრდნობით, ამასვე ფიქრობდა ექიმი ურბინო, და აღსარების წერილი რომ არა, ვერც

ვერავინ გადაარწმუნებდა. მაინც ვერ გაიგო, რატომ აირჩია ორმა ზრდასრულმა და უნარსულო ადამიანმა აკრძალული სიყვარულის რისკი. „გემოვნების ამბავი იყო“, აუხსნა ქალმა. მოულოდნელად აღმოჩენილი ბედნიერებებით გაჯერებული საერთო საიდუმლო კაცთან, რომელიც მთლიანად არასდროს ყოფილა მისი, ქალს სრულიად არ ეჩვენებოდა მიუღებლად. პირიქით, გამოცდილებამ აჩვენა, რომ სამაგალითოც კი იყო ასეთი ცხოვრება.